

საქსონი

ISSN 0132-6015

11-84


საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

თუმცა დიდია სკოლის როლი, მაგრამ ყმაწვილს მარტო იგი როდი ზრდის. ხასიათის საფუძვლები, საწყისი ცხოვრებისეული მიზანდასახულობა — ყოველივე ამას საძირკველი ოჯახში უყრება. და სიკეთეს ნუ ელი, თუ სკოლა ერთს ასწავლის, ოჯახი კი მეორეს.

კ. უ. ჩერენკო



საბჭოთა



«სიანჯოს»

საკაჭი ფეფე

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

1 კვარტალი

თბილისის საცდელმა ქარხანა „აგ-რევატმა“ წლის სტარტზე, იანვარ-თებერვალში, გვემით ვათვალისწინებული 50 ათასი მანეთის მოგების ნაცვლად, 223 ათასი მანეთის ზარალი მიიღო.

მოგებაში ხელს ნუ გარევთ,
გვემა თქვენთვის საცერია,
ზარალი კვლავ გაამრავლეთ, —
ქარხანა ხომ საცდელია!

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება შეასრულა მხოლოდ 79,2 პროცენტით, მომხმარებელს დააკლო 4 მილიონ 468 ათასი მანეთის პროდუქცია.

მაგ თქვენი
ვაიხელშეკრულებით
რამდენჯერ
დარჩნენ ფესვებზე?

კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოების ტემპი შეამცირეს „ცეკავეთის“ საწარმოებმა — 17,9 პროცენტით, საწარმოო გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორმა“ — 29,8 პროცენტით, თბილისის კალინინის სახ. სამსხმელო მოწყობილობის ქარხანამ — 32,9 პროცენტით.

არ გვინდა, რომ საყვედური
გითხრათ, ვინმეს მივაცივდეთ,
ამ საქონელს გვერდს ნუ უვლით,
კულტურულად... ნუ ამცირებთ!

კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების გამოყენების დაბალი დონით გამოირჩეოდნენ შემდეგი მშენებარე ობიექტები: ახალქალაქის კიდული საბაგირო გზების მოწყობილობის ქარხანა, გურჯაანის ღვინის ქარხანა, თელავის სანტექმოწყობილობის ქარხანა, მესტია-უშგულის საავტომობილო გზა, მარტყოფისა და ბებნისის მეკურდღლეობის კომპლექსის მეორე რიგი და ა. შ.

კაპიტალურად
ვარდებით,
სიზანტეს თუ არ
განდევნით!

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის საერთო მოცულობის გვემის შესრულებას თავი ვერ გაართვეს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს რუსთავის, ბოგდანოვიკის, ყვარლის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის რაიონულმა სამმართველოებმა.

რაიონს თუ ვერ
მოემსახურეთ,
მადლობას როგორ
დაიმსახურებთ?

თვითღირებულებაში გადახარჯვა ჰქონდათ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას (1 მილიონ 933 ათასი მანეთი), ცნინვალის „ელექტროვიბრომანქანას“ (35 ათასი მანეთი).


გადმოვდებულ ემაგ ნემსკავს
დღეს ნიანგიც აღარ „კენკავს“:
ან დაფართო, გიჯობთ, ხარჯი,
ან გეწვევით, ოღონდ... ბარჯით!

შრომის საყოფიერების გვემა ვერ შეასრულა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სამმა, მშენებლობის სამინისტროს სუთმა, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თერთმეტმა საწარმომ.

შრომის გვემა ვეღარ თბება,
ქება იყოს, ქება თუა:
თქვენი საყოფიერება
მართლა უმაგალითოა!

სარისხისნიშნის პროდუქციის წარმოების საგვემო დავლება ქუთაისის რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანამ შეასრულა მხოლოდ 88,3, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ — 84,1, რუსთავის ქიმიურმა ქარხანამ — 79,2, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელმა“ — 27 პროცენტით.

ჩამოგამწკრივებთ დაფასთან
სხვა სიამაყით, სხვა რიხით:
ათასად გვემა დაფასდა,
ათი ათასად — ხარისხი!



„უშიშარ დროს“ ელოდა!..

ისევ „თუთარჩელაში“!

მიმდინარე წლის თებერვალში ქ. ზუგდიდის № 1 უნივერსიტეტის სუვენირების სექციამ 99 ათასამდე მანეთის ბროლისა და მინის ფართო მოთხოვნილების ნაწარმი მიიღო. მაგრამ ძვირფას საქონელს ვერ დაუდგა კარგი დახლი: ქალაქის სავაჭრო ქსელის ობიექტებს საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოსა და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ სპეციალურად შექმნილი ჯგუფები ამოწმებდნენ.

სექციის გამყიდველმა ა. ალიმინსკიმ იმთავითვე იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე, საქონელი საწყობში ჩაკეტა და ორი კვირის განმავლობაში რეალიზაციისათვის „უშიშარ დროს“ ელოდა!..

ვინ იცის, როგორი შედეგით დამთავრდებოდა ეს უსიამო მოლოდინი, რომ მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებს დანაშაულისათვის წერტილი არ დაესვათ.

ვერ ბაიბანა!..

— **ბაზარში** კარგ კარტოფილს მანეთზე ნაკლებად არავინ მოგცემს. ყველაზე მდარე ხარისხისა ცი 60 კაპიკად ფასობს. მე რომ სახელმწიფო ფასს ათიოდე კაპიკი წავეუმატო, დიდ ცოდვა-ბრალად არ ჩამეთვლებაო! — იმარჩიელა ზუგდიდის „ხილბოსტანვაჭრობის“ საკომპლექტურნეო ბაზარში მდებარე ფარდულის გამყიდველმა ტანია ფიფიამ და 56 კილოგრამ კარტოფილში მომხმარებელს ზედმეტად 11 მანეთი და 99 კაპიკი აწაბნა. ესეც არ იკმარა: დიდი რაოდენობით გაყიდულ ხახვშიაც კი სარგებელი ნახა და, როგორც კი იფიქრა, ყველაფერი ხახვივით შემრჩაო, მყიდველებმა შექმნილი პრობლემის წაღება დააყოვნეს და ფაქტზე აქტის შესადგენად კალამი მოიმარჯვეს!..

გვიანლა იყო!..

ბიაჯი არც ნაზი საკაბე ქსოვილია და არც საკოსტიუმედ გამოდგება! კარგად იცის ეს ყველა, მაგრამ მღებავებისა და მხატვარ-გამფორმებლების ხელში მას დიდი გასავალი რომ აქვს, ესეც სხვებზე უკეთ იცოდა ზუგდიდის სავაჭრო ცენტრის გამყიდველმა და ზმირ ხურცილავამ. ცოდნა კი თავისთავად რის მაქნისია, თუ მას ცხოვრებაში გამიზნულად არ გამოიყენებ. დაზმირიც მიზანდასახულად გაისარჯა და ერთი რულონი (81,6 მეტრი) ბიაჯი 92 მანეთად გაყიდა.

აქტის შედგენისას საანგარიშოზე თითის ერთი გასამაჩამოსმით დაზუსტდა სხვაობა გაყიდული ქსოვილის ფასსა და სინამდვილეში აღებულ თანხას შორის — 57 მანეთი! დაზმირი მიხვდა, რომ გაება და გვიანლა იყო თითზე კბენანი!..

ზამოსხანებულ სავაჭრო ცენტრს „თუთარჩელა“ ჰქვია (ნიშნავს მთვარიან ლამეს). ჭურჭლეულის სექციის გამყიდველს ნოდარ ჩიქობავას არასდროს უფიქრია, რომ ობიექტის სახელწოდება სიმბოლურად უპირისპირდება ჭურდისათვის ნანატრი ბნელი ლამის მცნებას.

ბნელი ზრახვის შესრულება დღისითაც ადვილად შეიძლებაო, — იფიქრა ნოდარმა და სხვადასხვა სახის ჭურჭელში მყიდველს ზედმეტად 10 მანეთი და 90 კაპიკი დასტყუა.

ცოტას დასჯარდა!..

საპარტველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მთავარკვებმომარაგების გასაღების სამმართველოს საფირმო მაღაზიის „ევრისის“ (მდებარეობს ზუგდიდის ქალაქკომბინატის დასახლებაში) გამყიდველი ნანი თოდუა სხვებთან შედარებით „ფრთხილი“ და „გაუბედავი“ აღმოჩნდა — ორი ბოთლი „შამპანურიდან“ მხოლოდ მანეთნახევრის მოგებას დასჯერდა. და მაინც, არ გაკვირვებია ნანის, რომ ისიც სხვებთან ერთად პროკურატურის განსასჯელი გახდა!..

ანჯორ ბარამია,

„ნინავის“ კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში



ნ. ა. ჯ. ლოლუასი

— კი მაგრამ, კაცო, მაგ თითს რომ ზედ აწონი, ვინ გამს მაგასა?!



— შეგამცირებს?
— კი, მეორე ოთახში გადამიყვანეს!

არჩევანი და არადანი

ღუეტი

არჩევანი — მე,
 არადანი — შენ,
 ყავადანი — მე,
 ჩაიდანი — შენ,
 ნარჩევი — მე,
 ნარჩენი — შენ,
 ხალტურა — მე,
 ნატურა — შენ,
 ნიგოზი — მე,
 ნიორი — შენ,
 „ვოლგა“ — მე,
 „რიონი“ — შენ,
 თამადობა — მე,
 მწდელობა — შენ,
 ზუთხის „იკრა“ — მე,
 ბადრიჯნისა — შენ,
 ტურისტობა — მე,
 პურის მომკა — შენ,
 აგარაკი — მე,
 ბაღ-ბოსტანი — შენ,
 ლაპარაკი — მე,
 მუშაობა — შენ.

არჩევანი — შენ,
 არადანი — მე,
 ქადა — შენ,
 მადა — მე,
 ქონი — შენ,
 ღონე — მე,
 ფული — შენ,
 გული — მე,
 „ნრუსტალი“ — შენ,
 ბარის ტარი — მე,
 უძილობა — შენ,
 მშვიდი ძილი — მე,
 კუპე — შენ,
 წუმპე — მე,
 ბღვერა — შენ,
 მღერა — მე,
 ქაქანი — შენ,
 ლავამი — მე,
 დარდი — შენ,
 ვარდი — მე,
 საკანი — შენ,
 ნაგრამი — მე.

აკოლონ გასილია

მშენებელი

ვაი, ეს რა ხდება! ამას რას ვხედავ! —
არა ძველებურნი, —

იმერნი სხვანი
გაღმოვლენ დიდგორს, გორხა და მცხეთას
და დედაქალაქში ჰყიდიან მწვანეილს!..

ცხრა არშინ სიმაღლის ვაჟკაცებს — ლომებს
დახლებთან ვხვდები, მწვანეილის დახლებთან!..
რომელი ვამჯობინო, რომელი რომელს,
თუ — „შკა მაგას!“ — ერეკლე დაიძახებდა?!

ცხრა მომხდურს გაკვეთდა ყოველი მათგანი,
მტრის თავზე ბასრი ხმალი რომ ეღერა!..
ვაი, რას მოვესწარ! — დახლებთან დამდგარნი
სასწორზე წონიან მწვანეილს ღერ-ღერა!..

ჩაქონდრისკაცებულან ვაჭრობის აზარტში,
სადა აქვთ ამდენი ქინძი და პრასა?
მიმოურბევიათ ქართულ ბაზარში
მემწვანეილეთა სხვადასხვა რასა!..

დაბანაკებულან აქ მთელი ზამთარი,
შარშანწინისწინაც აქ იყვნენ, შარშანაც!..
სულში რა ჩაუჭდათ, რა შავი აფთარი?!
წინაპართ სისხლი
ამ ბრგე სხეულებში ხომ არ გამშრალა?

ამგვარ ლექსის წერას, კოლეგა, ვხედავ,
ესთეტი დამიწუნებს, ვიცო,
მაგრამ რაი ვქნა, როს ამას ვხედავ,
როს მესმის ქვითინი სოფელური მიწის?

შემინდე, მკითხველო, ლამაზი ლექსით
ვერ მოგისალობუნე ამჭერად!..
სიმდიდრის წადილის იფლობა ლექსში
არსენა-ბიჭის სახმლო მარჯვენა!..

გრამობით წონიან ოხრაბუშს, ომბალოს!..
(კუნთს უნდა იწრობდნენ ფუთიან ლოდებით!)
მამულო, ქართული კაცობის მთობარო,
ამ ოხვრით მოვდივარ, შენ გაახლოვდები!..

სასწორის პინების ოდენა თვალებით
ელაქუცებიან, უხმობენ მუშტარს!..
ამ ლექსით ვიძახი: — „სად მივექანებით?“
და გვერდით ვუდგები ქალაქელ მუშას.

სალამოს სასტუმრო „კოლხიდის“ კაფეში
შეექცევინ დვინოს და ზრაშულს,
და ეჯიბრებიან სმის სისწრაფეში,
და აღდგერძელებენ სისხლნანთხევ მამულს!..

ვაი, ეს რა ხდება! სით მიჰყავთ გზანი?!
შეხედავ, იტყვი,
რა დედამ შობაო ეს გოლიათები!
დგანან და დახლებთან ყიდიან მწვანეილს
და სულში უქრებათ წინაპართ სანთლები!..

ლალო სულაბერიძე



ისვე განვაგრძობთ უცნობი ურნალისტის ჩანაწერების აუბლიკაციას. როგორც ჩანს, პიჯაკის დაგირავებამდე ურნალისტი კოკისპირულში მოხვედრილა და ერთიანად ვალუმულა, რადგან ჩანაწერების მთელი ცაპტი გვერდი საშინლად დათხანნილი ვანლ-დათ, - ამოკითხვა ჭირდა. დარჩენილი გვერდები სრულიად სუფთაა და სისტემატურად მოგაწვდით ხოლმე.

რედაქცია კიდევ ერთხელ აცხადებს: თუკი ის უცნობი ურნალისტი გამოცხადდება რედაქციაში და დაგვიმტკიცებს, რომ ეს ჩანაწერები ნამდვილად მის კალამს ეკუთვნის, პონორარი მას გამოეწერება.

1984 წლის 24 აპრილი, სამშაბათი. გორში მთლად პაპანაქება არ ყოფილა, მაგრამ არც ისე გრილოდა, კათხა ლულზე კაცს გული არ მისვლოდა. დამიმარტოხელეს აქაურმა კოლეგებმა - თბილისში რომ სულ შენ გვიმასპინძლდები და გვიმასპინძლდები, ახლა ჩვენს მარაქაშიაც ვაერიე, ნუ დაგვამუნათებ ნახევარ საათხა, სალუღეში გამოგვეე ძმურადა, კაცურადა, მეგობრულადა! არ, გამომიღვია თავბატევი, გვეყვი, მაგრამ ისეთი მარანოში ლუდი შე-მასვეს, გულით ვნატრობდი აგვისტოს პაპანაქებას, თურმე სადა ხარ, რის პაპანაქება, რა პაპანაქება, შიგ ჯოჯოხეთის ადუღებულ კუპრში არ გვითათავა გუდაბურტყიას ლუდის ბარის გამყიდველმა ჯამბულატ სულიკოს ძე საათაშვილმა?! იმ დალოცვილმა ას გრამ არაყში, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი მანეთი არ გადაგვაშვლია?! რომელიღაც მასპინძელს ალბათ გულს აკლდა და, ნანგარიშევი 27 მანეთი რომ დაემრგვალებინა, დახლზე სამი თუმნიანი დაუდო მებუფეტეს, ერთი ასი გრამიც დაგვისხიო! მანეთიც დამიმატეთო! კაცო, ას გრამ არაყში სამი მანეთი არ გვეყოფაო?! არაო, მანეთიც დამამატეთო!

ეტყობა, ჯამბულატ სულიკოევის ასეთ თავხედობას ყველა მამა-შვილურად პატიობს, მათ შორის - საჭკვების ხელმძღვანელობაც და უშემაკი რას დააკლებს?!

— მალე დაამთავრებთ ამ სახლის მშენებლობას?
— ეს სახლი, ჩემო ძმაო, დამთავრებულიცაა და ჩაბარებულიც!

ნახ. 5. ფორჩხიძისა



— ამდენი გამოცდილება დააგროვე და მაინც განყოფილების გამგედ აპირებ დაბერებას?
— გამოცდილება კი დავაგროვე, მაგრამ ახლა სხვა რაღაცასაც ვაგროვებ!

ზუსტი საექიმო სასწორი

ფეხით სიარულის სიკეთეზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ის, რაც თვითონ გამოცადე, ყველაზე უტყუარია.

ერთ მშვენიერ დღეს სახლიდან აწონილი გამოვედი და ლენინის მოედნისაკენ გავუყევი გზას. ფილარმონიასთან რომ მივედი, „ზუსტი საექიმო სასწორი“ დავინახე. დავდექი სასწორზე და, პოი საოცრებაც: 86 კილოგრამის ნაცვლად 84 კგ და 30 გრამი აჩვენა! ორმოცდაათკაპიკიანი გადავიხადე და გახანრებულმა ლენინის მოედნისაკენ მოვკურცხლე. რუსთაველის მოედანზე ერთხელ კიდევ შევამოწმე ჩემი წონა. როგორ გგონიათ? — ისევ სასწორი: 80 კგ. და 20 გრამი! ძალით შევაჩეჩე მანეთიანი.

ახლა უკვე დადინჯებული გავუყევი პროსპექტს. კაფეში შევედი, ერთი ფინჯანი ყავა დავლიე, დავისვენე და არჩეული მისამართით წავედი. ლენინის მოედანზე, მიწისქვეშა გადასასვლელის კუთხეში მიდგმულ „ზუსტ საექიმო სასწორზე“ დავდექი. დავდექი და გაკქვავდი: ზუსტად 90 კგ აჩვენა!

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, ეს სასწორი ზუსტია?!
— ვაჰ, შენ რა, წერა-კითხვა არ იცი? წარწერა ნახე! წარწერა ნამდვილად ზუსტი იყო, მაგრამ მე დღესაც მეექვსეა, 50 გრამმა ყავამ როგორ მომიმატა 9 კგ და 80 გრამი?! არადა, ყველა სასწორს გარკვევით აწერია: „ზუსტი საექიმო...“ მოდი და ნუ დაუჯერებ!

ნიკოლოზ იოსებიაძე

კოვტი და პრიტიპოსნი

კრიტიკოსმა პოეტთან საუბარი თქვა:
 „საჭირო არის დამასხვრება —
 ცხოვრება არის უძირო ზღვა,
 ამიტომ ღრმად,
 ღრმად
 უნდა ნახვიდე და შეისწავლო
 ცხოვრება!“

პოეტი ნაჩიდა უძირო ზღვას,
 დასაო იმ დიდხანს,
 ამრუნა კა,
 თავი ამოყო და თქვა:
 „მეოწი, მეყოფა, სამართის
 მასალა ვსოვე:
 ამაზე მეტი წიგნისთვის
 აღარც მჭირია!“

კრიტიკოსი კი ნაპირიდან
 უძიანს პოეტს:
 „არა, არ ცნობა,
 ვუ ნაპირზე მეტად მეიბება!“
 პოეტი უვირის:
 „რომ შეძამი, ძამო, მადლოდენ,
 ნამოდო წუნამ,
 შეინი დარკე კამონხვლდება!“

კრიტიკოსი კი უპასუხებს:
 „აჰ, მე რა მინდა!
 მე ვერ ნამოვალ,
 წაულნი ფუხი დამისველდება!“

გადმოაკითხე შოთა რუსთავი



კვანძები სწორად და იქნა

შოთა შატავა

მართი დაწვებულებების ჩვეულებრივ კამიბეჭე ჩვეულებრივ მავიას უბის ჩვეულებრივი შეხვედრების მამაკაცი რეკლამისთვის საუბრობს.

— ალო ვინ ლაბარაკობს ეს შენ ხარ, ვარანა? უკვე კამიბეჭე ზიხარ, მეგობარო? მეც კიდევ ვტივარა. შენ იგი, როდის მოვიდე დღეს სამუშაოზე? სრულ 9-სა და ნულ-ნულ წუთზე. მაშინ სულ გვეყვები! პო-პო, ძალიან მეგობარი ხალხი იდგა დღითი ავტობუსის გამჩერებზე! იგი, რა მითხარა საბაგების მალა-ზიხის გამგე? მალაბობების გაყიდვით ერთი თვის გვემა სულ დღეში შევსრულდით! — დიას, მე უკვე მეითხე დღეა, ზღვირად 9-სა და ნულ-ნულზე ვცხადებენ სამუშაოზე. ერთ ადგილზე ვდგომისაგან წონანი მოვიმატე. ნამდვილად ძველია! მტვირლად წე სწუხვლად, მალაბობას ვერ იშვიო! პო, კარგი, იყავი, იყავი, მარკვა ვეცვიო! (უწრბლად ფებს და ახლ წამოსი კრეფს).

— ალო! ეს შენ ხარ, კამიო! მეგობარი არა, მეგობარო, 9-სა და ნულ-ნულ წუთიდან? იგი რა? მოსილად ახლა გავიბე, რა კარგი კოდეტირია ჩვენთან! ყველას გამოევივრებ, ყველანი ადგილზე არიან. იგი, ჩვენი შეუი რა მშვენიერი კაცია? თორმეტი წელია, რაც აქ ვეშობარ, ხანდახან ციციმთაქსასვით ვაძლევდებ და კარგად არის კი ვიციხვდი. დღეს მიწიწეშით შილიას მოიხადე და მომხვალმა... რა იყო? მშვიდობით? ა-ა-ა, შენთან მოვიდენ? ყურბილის ვღებ, იმემავე სვეგობარო, იმემავე! (უწრბლად ფებს და უშალ ცხვრა ნო-მერს კრეფს).

— საღამო, ბირღა... ოღუს ვეფრიო, არა, მეგობარო, პა-პა-პა! მეც კიდევ ვტივარ, ცნობდარი ააა, კრება ვაქვო, არა? დისციპლინის განმეორების შესახებ ყველაფერი გასვევია... თორმეტი... (დაყო უწრბლად, ცოცხა ფურცლა და სხვა ნომერი აჩრდა).
 — ალო! მოხარული ვარ, ვეაყვება, ნარდელის სო-გორა? რას ნიშნავს, უკვე ხსობდები? რა აზრი ამამოთ მაგას? გაბაიფიფულეს ვაძღვე ნინათვის? ოს-ოხ-ოხ... განა შეიძლება, სამუშაოზე დავაყინებ? მე კობრად ვიწრებ,

წოველა

სწორად მოიქმენი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იწინებს (ფებს უწრბლად). საყვალ ბარ-დალ... მაგრამ თუ ასე ვგერმელად, ბევრი დაწვებულებად დაიფლებას... საინტერესოა, რას შერება ახლა კუნტა, თქვაბის ნამდვილი ტრავალი? (წოვერი აკრეფა).

— ალო! ხსობდები, თუ შეიძლება ტელეფონთან კუნტა სამპალოეჩის როგორ ხარ,

დიას, ვიჩივარებ!



მე მეთვებზე? ხნით ვერ გიციანი როგორაა თვექნის სპეც, ზიხარით? მშვიდობით კალ-მახო, ა? პა-პა-პა! ჩვენი ესხვდვარო, ცხრი-დან... იგი, კუნტა, მე როგორ დასვენებე მო-ველი? უკეთესია, სამუშაოზე იარო, ვინც სახლში იჯდე! დიას, არ ვტივრბო: ხან კარტიფილის საყილად ირბინე, ხან - რბის, ხანდა - ბაზარში... სამუშაოზე ზიხარ და შენ-თვის იჯდე! რა მოგაჩრებს? საყვედრო?! რისთვის?! სამუშაოზე ერთი საათით დავცი-ანებოსათვის? ღმერთი ჩემო, საღამედ მივე-დით! მეტი კი დავციო უწინ მთელი დღე-ების განმავლობაში სათვხვალ ვადაიკარვე-მოდი, არ შეუიწინებო; ახლა კი ერთი სა-ათით დავაყინებაც საყვედრო?! არავტრია, მეგობარო, სულით ნუ დაცივები რამდენჯერ იქვებებს, ინდენჯერ წვიმა არ მოვა! გამა-გვი, მეგობარო (დაყო უწრბლად და სათხვ-დაცხვად). კიდევ ნახვარი საათი უნდა ვიჯ-დე... რა ნელა მიიღის დრო (ტელეფონმა და-წრკარდა).

— ალო! ვინ ლაბარაკობს? მე განსდვარო, რასაკვირველია, სამუშაოზე ვარ, კიდევ სად უნდა ვიყო? ამოწმობ, არა? ვინ ლაბარაკობს? თვექნი ხმა ძალზე ნივნობია ეს შენ ხარ? არა, ძივრებსო, შენ თითონ წახვიდე კარტიფილზე. მე კისრადვე ვარ საქმით და-კავებული ვახვებია? (უწრბლად დაყო, ად-გა, ფანჯარასთან მივიდა და იხედავდა ტუჩაში) პო-პო, კუნტაზე დავაყინებულა! მანქანე-ზე კრტაა! (ტელეფონის ზარი ისმის).

— ვამეწინი ვინ ლაბარაკობს? ვინ ვარდაიცვალა? ოს, საყოფადი ვართანი როგორ ვარდაიცვალა, ბეჭარანს წვალობდა, არა? მოსვე-ნივლა, დიდაც ღმერთის როდი-საა ვახვებებ? სუთმასთან? რას ბრძამბა, როგორ შემიძლება სა-შუალო დღეს? არ შეიძლება, მა-შაბისათვის ვადაცხვინე! უკვე ყველას აყწონებ? რას იტმა, ამ შეხვედრითი სანყელ ვართანის დასაძლევება უწეშობა მიიხდება. მაშინ როგორ უწერხვლ დროს ვარდაიცვალა. კარგად ბრძამბე-ბოდილი (უწრბლად ფებს).

— ვართან, ვართან... ნეთუ იგი აქამდე ცო-ცხალი იყო! რა დიდხანს ცხოვრობს ზოგიერ-თის მამა. მამაზე რომ უფიფილო, დიდი ხნის წინათ ვამეზავრებოდა საცივის (იდგა, მივიდა კედლის კალმდართან).

— ორბაბოთი, სამშაბითი, ოთხ-მამაბითი სუთმასთან... ოთხი დღეა, ზოგიერად დღეადაცხვანდაც ვამო-ვენახვებოდა სამუშაოზე! თუ ასე ვარდაცხვად, დიდოღება! (ტელეფონის ხმარი ზარი. იგი იღებს უწრბლად).

— მოსკოვია? დიას, დიას, გინდაცვალე. შევეკოა მივეცი გინდა, ვიცილი... ნიჩა, ეს შენ ხარ? აბა, ვინ არის ეს? ა-ა-ა. ბიფილა მო-ტია, გამარჯობათ! ეს მე ვარ, შა-მანი! ნინა საღ არის? სამუშაო-ზე? სანა? ისიც სამუშაოზე? ბიფილა მოტია, როგორი ამრღია თვექნია? თითო დღეს? ძელიუ-რი ყინებო? ვარა? შეიძინე? მალაბობარბი მალაბობებში იყიდვ-ბე? ესე იგი, თვექნითაც არ არის? ვადაცხვად ნინა, რომ ჩამო-

სვლა არ შემიძლია... ნახვადის, მიყვალა მო-ტია! (ფებს უწრბლად ხალხს დახვრება).
 — ვამაა! 18 საათი და ნულ-ნულ წუთია. (იყვამ პალტო, ამ დროს შემოსის დაწვე-ბულებში მომუშავე წყვედრებენ ვარჯიწარ-ბის ქალი).

— შაბან ლეგეტხომ, თვექნა სულ ახლ-ხან ელაპარაკებოდი მოსკოვს, ტელეფონი ლაბარაკისთვის თვექნ მოვიხდებოთ პირა-დად ვადაცხვად!

— მე რომ დამწებულებიდან ველაპარაკე მოსკოვ?

— მართალია, ელაპარაკე დაწვებულებ-დან, მაგრამ ელაპარაკე გეზობია ეს შენ ხარ? ჩვენი ხომ არ დავწერა? „ელაპარაკე ბიფილა მოტია?“ (ქალი მიღის ღმი-ობი).

— ემავეკა უწყის, რა ხდება... უწინ თითქ-მის უფიფილედ ვარკვედი და არავინ არა-ფერს ამბობდა! (მეშობის სხვა თანამშრომე-ლი ქალი).


— შაბან ლეგადიფიო! დღეს თვექნ იყავით სამუშაო ადგილზე, მაგრამ ხელდასს არ და-ვიტვირცხვებ.

— ეს როგორ? რატომ?
 — იმიტომ, რომ სამუშაოზე ვამოცხადება ყველაფერი როდი, მთავარია მუშაობა! (თა-ნამშრომელად ღმიობის მიღის).

— „შენს ანგარიშზე!“, არ დაფიცივები?!
 ეს რა ღებდა, ა? არ არის ატვიტობი... მე ვიჩივლებ! დიას, ვიჩივლებ!

თარგნა პლატონ გარბანია





ნახ. ლ. ერისთავისა

- ბავშვებო, რა მოხდა თქვენს ცხოვრებაში ახალი?
- ბონდოს მამა ტრესტის მმართველი გახდა, მასწ...!
- ბონდო, გადმოჩქევი წინა მერსზე!



იყვარს გემოვნებით ჩაცმა-დახურვა. თუ მოდის უკანასკნელ სიტყვას არ მივხვდები, არც ძალიან ჩამოვრჩები მას.

შუა ტანსაცმლის მალაზიების სმარტივად დასმარტივება თუ იქიდან ყოველთვის ხელდასმველები არ გამოვდივარ, თვალს მაინც ვახარებ. როცა რამე მომეწონება, კარგად შევთავალებ, ავწონ-დავწონი და მერე ვიღებ გადაწყვეტილებას.

ამას წინათ სამსახურიდან შინ მიმავალმა შუა ტანსაცმლის მალაზიაში შევიარე. უცებ მზერა მამაკაცის პერანგებმა მიიპყრო. ის-ის იყო, საქონელი გასაყიდად გამოეტანათ და მეც დაბარებულვით იქ გავჩნდი.

მართალი ვითხრათ, პერანგები საკმაოდ მაქვს. სადაც უნდა წავიდე, პირველ რიგში პერანგებისკენ გამიბრბის თვალი. სამსახურიც ისეთი მაქვს, მივლინებით ხან რომელ ქალაქში ამოვყოფ თავს და ხან რომელ დაბასა თუ სოფელში...

ჯერ რივიც არ დამდგარიყო წესიერად. მივედი გამყიდველთან და მოვითხოვე ჩემი ზომის პერანგი. გამყიდველმა უმალვე, უხმოდ, დანღზე დამილაგა სასურველი ზომის ნაირფერი პერანგები. გავხედე ერთს, მეორეს, მესამეს... რას ნახავს თვალი უკეთესს!.. ბევრი ვარჩიე თუ ცოტა, ცისფერ პერანგზე შევაჩერე ყურადღება. ფასიც არ მეჩვენა ძვირი — თოთხმეტი მანეთი, და ისლა დამრჩენოდა, რომ ჯიბეები მომეჩხრიკა. გამყიდველმა შემისვია პერანგი. ბელზე გამომივლია აქეთ-მეთქი და ბედნიერი სახით გამოვედი მალაზიიდან.

მთელი დღის მუშაობით დაღლილს საოცრად გამიხალისდა გუნება. მოკლედ, სანამ ავტობუსი ჩემს გაჩერებასთან დამიხურუჭებდა, ხან რა ფერის კოსტიუმში გამოვიწყებე და ხან რა ფერის შარვალ-პიჯაკში წარმოვიდგინე თავი, ხან რა ფერის ტუფლები შევუხამე ჩემს პერანგს და ხან — რა ფერის წინდები...

ახე, ნეტარების ბურანში გახვეული, მივადაქვი საკუთარი სახლის


სარს-ქალო? რს ქალო!

ვერ გავიგე, მეზობელი სარა-ქალი რა ქალია, „ქონება აქვს ყელამდე“ და არ მუშაობს, რა ხანია. ყველა ძველი სპეკულანტი მისი კარგი და-ქალია. ფაციფუცობს, საქმეს ჩარხავს, მოსაწყენად სად სცალია?! კლიენტებზე რომ ნადირობს, კარგი ყნოსვა აქვს ძალიან!.. „საქმეების ჩამწყობი“ და „გაჭირვების ტალ-კვესია“, მის ქმარს, ჯანმრთელს, ახალგაზრდას, ინვალიდის აქვს პენსია!.. ოცი წელი ვმეზობლობთ და რაც მართალი მართალია, დღემდე მაინც ვერ გავიგე, სარა-ქალი რა ქალია!

სარგის შირზოიანი,
თბილისის მე-3 ტექსტოლო-
ტორების საწარმოს მღე-
ბავი.



არის შრომის დისციპლინის დარღვევის, საგემო დავალებათა ჩაშლის, შემცირების მიზნით მათი კორექტირების ფაქტები. ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და გაერთიანებებში ჭერ კიდევ უხეშად ირღვევა ფინანსური დისციპლინა.

გაზეთბაიდან



ნახ. ბ. შორჩაძისა

ფინანსური კორუპტია



იუმორისკა

კარგებს. შეველი ოთახში, მაგიდაზე დავდე შეხვეული და ცოლს გაუძახე, სად ხარ, ნახე, რა მოვიტანე! — რა მოიტანე? — მოისმა საშარულოდან და მეუღლე მტრედით დააფრინდა მაგიდას. — გახსენი და ნახავ, რაც მოვიტანე!

მეუღლემ ხელის კანკალით აიღო შეხვეული და ფრთხილად დაიწყო გახსნა. — პერანგი! — წამოიძახა მან, — პერანგი!.. რა ლამაზია, რა კარგია!.. გრძელსახელოებიანია თუ მოკლე?.. — გახსენი და ნახავ, ადამიანო!.. — შენანება, რა კონტად არის შეფუთული!..

როგორც იქნა, გახსნა პარკი და ამოიღო პერანგი. — რა ლამაზია, რა კარგია, რა ნაზი ფერია, რა კარვად არის შეკერილი!.. — საშართლიანად ვერ ფარავდა აღტაცებას მეუღლე, — აი, პერანგი! ასეთი პერანგი ჯერ არც გცმია! — არ ცხრებოდა იგი.

ვისთვის გაგვეზიარებინა ასეთი ღრთის სიხარული, თუ არა კარის მეზობლისათვის, და, სანამ პერანგს ჩავიცვამდი, მეუღლემ კარის

მეზობელი თალიკო შემოიყვანა. ჩვენ რომ მეზობლობა გვაქვს, მცხუნო ბლობაც ამას ჰქვია, ცხვირსახოცს არ ჩავიდებთ ჯიბეში, თუ ერთ მანეთს არ ვაჩვენეთ!..

— სად იყიდე? — წამოიძახა თალიკომ და არც მოუსმენია ბოლომდე ჩემი პასუხისთვის, ისე გავარდა ვარეთ...
 კარგა ხანს ვიტრიალეთ სარკის წინ მე და ჩემმა მეუღლემ. რა არ ჩავიცივ, რა არ გვადე. მთელი ვარდურობი გადავატრიალეთ, მაგრამ ახალი პერანგის შესაფერისი ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ბოლოს შევთანხმდით, რომ ამ პერანგისთვის საგანგებოდ გვეყიდა შესაფერისი კოსტიუმი, პიჯაკი, შარვალი და ყველაფერი, რის ჩაცმა-დახურვაც შეიძლებოდა.

— გვეყოფა ახლა, ხვალაც ჩავიცვამ! — ვთქვი და ღიღებისკენ წავედი ხელი. — მოიცა, მე გაგხდი! — წამოიძახა ცოლმა და ფრთხილად დაიწყო ღიღების გახსნა. მსუბუქად გამხდა პერანგი, ერთხელ კიდევ შეავლო ალერსიანი მზერა და ბუმბულივით ჩაიკრა გულში უცებ ფერი ეცვალა, მზერა გაეყინა!.. კიდევ ერთხელ გაშალა პერანგი და მუხლმოკვეთილივით ჩაეშვა სავარძელში. — თო ლია!

წამოიძახა შეცბუნებულმა, — თბილისის შეკერილი ყოფილა!..
 სუნთქვა შემეკრა... თავდაყირა დატრიალდა ოთახში ყველაფერი... რალაც მომანწვა საფეთქელზე... — რატომ არ დავხედე წესიერად იარლიყს?! — ამოვიღულულულე ჩემთვის. ვერ გავეძიე ცოლის საცოდავ მზერას და ფანჯარაში გავიხინედე. ვხედავ, კარის მეზობელი თალიკო მორბის შეხვეულით ხელში...



ნოვადი ბარტონი
 ილუსტრაციები **ჩ. ლოლუასი**

უხმო ვარ!..

ფასაგის ნუსხა მჭევია. ერთი პატარა ქალღიღადი ვარ, გასაყიდ საქონელს ერთგულად აკრული, თითქოს უტყვი. მაგრამ მაინც მეტყველი.

აი, შემოვა მალაზიაში კაცი, დამხედავს, ნოჭარს თავს აღარ შეაწყენს შეკითხვებით: ეს რა ღირს, ის რა ღირსო! წამიკითხავს, ზუსტ ფასს შეიტყობს. თუ საქონელი მოეწონა, კიდევ იყიდის და წაიღებს. სწორედ მაშინ არის ჩემი ზეიმი, მაშინ მიხდა ცას ვეწიო, ვიმღერო, მაგრამ უხმო ვარ და საბრალო, ღმერთმა ასე გამაჩინა და მეც, სხვა რა შემეძლია, ჩემს სიხარულსაც და დარდასაც გულში უხმოდ ვატარებ ხოლმე. დარდი-მეთქი, განა წამომცდა! დედას გეფიცებით, დარდიცა მაქვს და სათქმელიც, მაგრამ უენო ვარ და ამიტომ ხშირად მჩაგრავენ.

ამას წინათაც ასე იყო, **ბათუმმარეწვევარობის № 28 და № 29 მალაზიების გამგეობმა ე. ღუმბაძემ და ე. ვახტანგაძემ** დამკმუჭნეს და გადამაგდეს. ჩემი თავი ჯანდაბას. მაგრამ მყიდველი რომ ვერ დამინახავს, დარწმუნებული ვარ, ფასს იკითხავს და ვინ იცის, რა პასუხს მიიღებს!.. აი, რა მალარდებს.

ჰოდა, მიხდა ვიყვირო, რომ ჩემი ადგილი დანაზღაურა, ჩანთაზე, ხორცის საკეპზე, ფეხსაცმელზე და უცხოურ თავშალზე, მაგრამ წელანაც ხომ მოგახსენეთ, საბრალო ვარ-მეთქი, ღმერთმა ხმა არ გაიმეტა ჩემთვის და რა ვქნა?! ვარ ჩემთვის, გადავდებული, მიმალული და ვნატრობ, ნეტავი ვინმე გამოჩნდებოდეს, მიშველიდეს და ჩემს ადგილზე დამაბრუნებდეს. იმ ღვთისნიერისთვის. გეფიცებით, სიცოცხლესაც არ დავიშურებდი.

პარაგმები

- **ჯამრ** თანამდებობას ესალმებოდა, მერე — ხალხს.
- **ბრიყვის** პატივს სცემდნენ და შიშობდა. ვაითუ მახეს მიგებნო.
- **ფარმის** გამგეს ცხვირის დანაკლისი უდასტურდებოდა, ტყუილი კი მაინც ცხვარს ძვრებოდა.
- **ჯამრ** მონღოლებს იჩენდა, მერე — მტრებს.
- **ბედოვლათობა** ღუპავდა და ბედს ეძღუროდა.

ალმანაშორ თავაძე



ჯურაბ რცხილაძე

უსიტყვოდ

მჩხიბავები

ფელეტონი

... „მჩხიბაობა“ უძველესია პროფესიათა შორის“ და ამიტომაც „მჩხიბავი“ სამყაროსავით ძველია. მაგრამ ვერ იტყვი, დროსთან გადაწყვიტო. მჩხიბაობა, განსაკუთრებით ყავაში ჩახედვით, სულ უფრო პოპულარული ხდება. გლდანში — ნადიასთან და ლაურასთან, თემქაში — გულნარასთან, საბურთალოს — იზოსთან, ვაკეში — ვიოლეტასთან, ორთაჭალაში — არიკასთან სხედან შეღებულთვალედაქაჩულნი, ყავითა და სიგარეტით გაბრუნებული ასულნი და აბებივით ყლაპავენ „წინასწარმეტყველის“ შეგონებებს...

გაიცანით უფრო ახლოს. გლდანში — ლიბანის ქუჩის 28-ე სახლში მცხოვრები დედა-მეფი ნადეჟდა და ლაურა ვარდიშვილები, თემქაში — მესამე მიკრორაიონში, მესუთე კვარტალის მეოცე კორპუსის 24-ე ბინაში მცხოვრები გულნარა კულიევა, საბურთალოს — ალმასიანის ქუჩის 28-ე ნომერში მცხოვრები იზო გულაშვილი, ვაკეში — ჭავჭავაძის პირველი შესახვევის № 23-ში მცხოვრები ვიოლეტა ზურაბაშვილი და ათობით (თუ ახობით არა) „დაძმანი მათნი“, რომელთა შესახებაც თითქმის მთელმა თბილისმა იცის, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მათი მისამართები საჯაროდ არ გამოქვეყნებულა!



სახ. სან. მარცხენა
№ 391
20. VI 1984

თუ მართლა რამის ამოცნობა შეუძლიათ მკითხველებს, ის განსაკუთრებით ხელდასაყრელია ახლოს, რა დონის კლიენტებთან აქვთ საქმე... ერთმა მათგანმა ლიკას ფინჯანს დახედა თუ არა, მაშინვე თქვა:

— რა გქვია? ლიკა? აი, უყურე, ხედავ მაშალა?... „ლიკას ჰყავდა მაშალი“... მაშალი ახალ ამბავს ნიშნავს. ახლა ამას უყურე! ხედავ? ხლართობია, წყვეტილი ხლართობი... ეს ამბავია, ტელეფონით შეტყობილი უსიამოვნო ამბავი. უსიამოვნო კი — მოსსნაა! — ავტორიტეტულად დასკვნა იზომ, მაგიდიდან თუმინიანი აიტაცა და ვიდრე ხალათის ჯიბეში უკრავდა თავს, „ასისტენტს“ გასძახა: „ოფიკ, შემდეგი! თანაც გამოაცხადე: სამ საათამდე ვმუშაობ, ტყუილად ნუ მიცდიან!“

— მეტს აღარ ვიღებო, კარგია! სამი დღეა, სამსახურს ვაცდენ!

— ასე არა ვარ მეც? სხვისი არ ვიცი და, მე კი უაჭველად უნდა მიმიღოს!

— რომ არ მიმიღოს, არ ვიცი, რას ვიზამ! — სასო წარკვეთოდა „დუბლიონკიან“ ქალიშვილს.

რა თქვეს სხვებმა, აღარ ვიცი, რადგან ჩვენ ლიკას მივყავით. ლიკას კი ამ დროს თემქისაკენ მიაქროლებს ტაქსი...

მკითხველი გულნარა მილიციას „შეუწუხებია“, ისიც იქვე მესამე სახლში ახლომეტოთან გადასულა. კლიენტების უმრავლესობამ ახალი მისამართი ჯერაც არ იცოდა და ამგვარად ლიკა სულ რაღაც ერთ საათში, მორიგი ფინჯანი ყავის შემდეგ, მორიგი მკითხველის წინ იჯდა.

— ყველაფერი კარგად იქნება! აი, უყურე, ირემი მოჩანს!.. „ირემმა ირემს ბალახი მიაწოდა: განა შენ კი გაკლია, მაგრამ ჩემგან გაგეხარდებაო“... ნახე, რა რქები აქვს და როგორ შემართულა გადასახტომად! ეს კარგია, ძალიან კარგი!.. დააწინაურებენ. ნაძვის ხესაც ვხედავ! ნაძვის ხეო, ნაძვის ხე“... ესეც კარგია — აწუხობილი ცხოველებს...

რება ექნება. მეტი რაღა ვინდა? — უკანასკნელი სიტყვები ისე თქვა, თითქოს ლიკა ეს-ეს არის დაესალმებინოს.

ააშენოს ღმერთმა (და ამ თუმინანებმა) გულნარა მკითხველი, გულს ჯავრი გადაჰყარა ლიკას, მაგრამ... მაგრამ ისა, რომ სულს სიმშრე დისათვის რას არ ჩაიდენს კაციშვილი?! (პაღუმეაქ! ტაქსის ჩართვით სულ რაღაც თხუთმეტი-ჩვიდმეტი მანუთი თუ დაჯდება ვიოლეტას მონახულება)... სიუ! ტაქსი!

— ტაქსი! ვაკეში, თუ შეიძლება!.. — ლიკა ახლა ვიოლეტასკენ მიეშურება.

— ეს კაცი შენთვის ძვირფასი ვინმეა. ახლა საქმე არეული აქვს.



აი, კურდღელი, კურდღელს ვხედავ! კურდღელი რადგან არის, ესე იგი ეშინია კიდევ, მაგრამ არაფერია!.. აგერაა მთვარეც!.. მთვარე გამარჯვებაა. ეს რაღა? აქლემი! მამ შემოსავალიც ბლომად გექნებათ! — დააყარა და დააყარა ვიოლეტამ, თავად ჯორი არ უსსენებია, მაგრამ ჯორის ტლინკებვით კი დასცხო, დასცხო და ამდენი ყავით, სიგარეტით, აბაღებდით გაბრუნებული ლიკა გუნებაზე მოიყვანა.

მკითხველები მართოდენ ქალები როდი არიან, — არის ერთი შარვლიანი ეშმაკეულიც, — „ორთაჭალელი არიკა“. ეს განსაკუთრებით „მოდ-რეიფე ჯადოქარი“, თბილისში ჩაწერილიც კი არ არის, ამიტომ მისამართს ვერ მივაწვდით დაინტერესებულ პირთ.

მისი შეგონებანი ოქროდ არა, მაგრამ თუმნად მაინც ფასობს.

— ითამაშე, ზაზაჯან, ითამაშე!.. აი, ხედავ, მზე ჩანს. მზე — მოგებაა. აი, ეშვებსაც ვხედავ...

და მოდის მორიგი ბედის მაძიებელი, მოდის სუთმანეთიანები, ათმანეთიანები... მოდის და არ იტყვიან, როგორ?! ესევეებიან, ეშვ-ღარებიან, აიღეთ, მეტი აიღეთ, ოღონდ მითხარით:

- როდის შემისრულდება?
- ვუყვარვარ?
- მლაღატობს? ვისთან?
- მიმატოვებს?..

და სწორედ აქ ვინდა მთელი ხმით იყვირო: სდექ! სდექ! სდექ! ყველა ეს შეკითხვა ხომ ნაცნობია, საოცრად ნაცნობი, ჯერ კიდევ სკოლიდან, ისტორიის სახელმძღვანელოდან, პონტოს მეფის მითრი-დატეს მეფობისას — „ჟამსა მჩხიბაობისა ძრიენ“ ხომ იმავეს ემუდარებოდნენ მისანთ?!

აფსუსს, აფსუსს, უქმად და უნაყოფოდ ჩავლილო თვრამეტი საუკუნე!..

გივი ჭალიკა



ილუსტრაციები დ. ერისთავისა

КОНТРОЛЬНЫЕ
ЗАЯВЛЕНИЯ

„ნიანგს“ უაასუხეგენ

საპარტიკოს კომპარტიის სობის რაიკომი: „უურნალ“ „ნიანგის“ გასული წლის მე-20 ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „სობის კონტრასტები“, რომელშიაც მსიღებული იყო რაიონის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში არსებული ნაკლავანებანი, სინამდვილეს შეეფერება. აღნიშნულ საკითხზე მკაცრად იმსჯელა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად — სოფელ ნოჯისთვის ტერიტორია წესრიგზე მოყვანილი, მოსრეშილი და გაწმენდილია გზები, გათვალისწინებულია მოასფალტებული გზის დაგება. ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის მელორეობის ფერმაში გაიწმინდა და გასუფთავდა მოავარი შავისტრალური არსები. ასევე შალასებისა და გვირგვინისაგან გაიწმინდა საჯიჯაოსა და სიბულის კოლმეურნეობისა და ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები. მოწესრიგდა ქვალონისა და პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობების ავტოპარკები. სოფელ ბიის კლუბი კაპიტალურად შეკეთდა, შექმნილ იქნა ახალი ინვენტარი“.

საპარტიკოს კომპარტიის მხარაძის რაიკომი: „უურნალ“ „ნიანგის“ რედაქციაში შემოსული მოქ. ა. კეკელიძის წერილზე, რომელშიც საუბარი იყო სოფლის სატეკიარზე, ვაცნობებთ, რომ სიგნალი შეისწავლა რაისაბჭოს აღმასკომის სპეციალურმა კომისიამ და ამჟამად მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია, სახელდობრ, სოფელ მერიაში უკვე დაიწყეს გზის შეკეთება, მალე დამთავრდება 150-ნომერიანი სატელეფონო სადგურის მონტაჟი. უბანში

გათვალისწინებულია რადიოსიზია და ტელეფონის გაყვანა, დაინიშნა ფოსტალიონი, ავტობუსი მოძრაობს დაგეგმილი მარშრუტის მიხედვით, წყალსადენზე დაწყებულია პირველი რიგის სამუშაოები. ცენტრის შემფუთავ ქარხანაში მომავალი სეზონიდან გაუმჯობესდება პროდუქციის მიღების ორგანიზაცია“.

ცხინვალის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება: „ნიანგის“ მიმდინარე წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნაზე რუბრიკით — „ბარათები ნიანგს“ — სოფელ ქარწემის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შესახებ, ვაცნობებთ შემდეგს: სოფელ ქარწემში არა გვაქვს მედიკონები. საქმის არის, რომ საფურცლო-საბუბიო პუნქტი გახსნილია მეზობელ, მომიჯნავე სოფელ ქვერტში და სწორედ მის სამოქმედო არეში შედის ქარწემიც. გარდა ამისა, ქარწემისა და ქვერტის სასოფლო საბჭოს მოსახლეობას საუქიმო დახმარებას უწყევს სოფელ ქუთის საუქიმო ამბულატორია, რომელიც დაკომპლექტებულია სათანადო საუქიმო-სამტარო ვარიეტეტებით — თერაპევტით, პედიატრით, სტომატოლოგით.

რადგან ქვერტის სასოფლო საბჭოს მოსახლეობა აღემატება 2.300 კაცს, ნორმატივების მიხედვით მას უნდა ემსახურებოდეს ცალკე საუქიმო ამბულატორია. ამიტომ რაიონის ჯანდაცვის განყოფილებას შემდგომი ორგანიზების წინაშე დანებული აქვს საკითხი ქვერტის საფურცლო-საბუბიო პუნქტის საუქიმო ამბულატორიაზე ორგანიზაციის შესახებ“.



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №11 (1669) ივნისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი **ზაურ ბოლქვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

აგთანდილ ადვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ ჭემშიძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მაღაზონია (მხატვარ - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ზეენ სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგწივაძე, ნაფი ჯუხოთი.

ტექნიკური რედაქტორი **მინიელ კუხლაშვილი**

გადაცა ასაწყობად 8. 5. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 6. 84 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₈ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 1054 უე 00059 ტრაჟე 138.300. უურნალი გამოდის თეგში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: **380008**. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტისკი ჟურნალ **«НИАНГИ»** (На грузинском языке) Тбилиსი, პრ. რუსთაველი № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиსი, улица Ленина № 14.

ზანი 20 კაპიაი ინფორმაცია 76137

ნახ. შ. ლალაძისა



პრთხელ. ორჯარ. სამჯარ და...

შეამოწმეს — გადარჩა,
შეამოწმეს — გადარჩა,
შეამოწმეს — გადარჩა, —
ხრავდა დასაბრავს!..

სამჯერ თვალი დანუტვს,
წასაცხები წაიცხეს,
თან აქტებში შეადარეს
მგელიკი — კრავს!..

მეოთხედ არ წაიცხო
სულ ცხო შემომოწმებელმა
ცოდვის კუბრი თავს!..
და... ცოლ-შვილი უმდერის
ბულბულების სიმღერას
გალიაში — ყვავს!..

შოთა არაბული
(ყაზბეგის რაიონი)

— ალო, მილიციაა? არიქა, გვიშველეთ, დირექტორმა და საწყობის გამგემ დახოცეს ერთმანეთი!..

1941 წლის ივნისი არ განმეორდება. ყოველ აგრესორს დაუყოვნებლივ თავს დაატყდება შურისგება. დაე, ეს იცოდეს ყველამ — ჩვენმა მეგობრებმაც და ჩვენმა ავისმლომეებმაც.

კ. უ. ჩერენკო

გონს მოღით!



ვერცხული
გიგლირთქა